# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 14 ოქტომბერი 2006 №238 (2860) ფასი 50 თეთრი


# ეროვნულმა ნაკრებმა მოილია

სამკვირიანი შესვენების შემდეგ დღეს საქართველოს ჩემპიონატი განახლდება





ანდრეი ვავილჩენკოვის (№2) დუბლი: საქართველომ ითამაშა და... წააგო

# გუშინ ბოლნისი ისევ გერმანული ქალაქი იყო



გუშინ ბოლნისში გერმანიამ მაკედონია აიღო



# ბურთი და სანახაობა

დღეს სპორტის სასახლეში კალათბურთელთა მე-16 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება, რომელიც ამავდროულად პირველი იქნება, რადგანაც კალათბურთის ფედერაციამ ახალი სტრუქტურა — სუპერლიგა შექმნა და ეს სუპერლიგა, მთელი თავისი ატრიბუტიკით, პირველად სწორედ დღეს წარდგება ქომაგების წინაშე.

ქართული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები, საცეკვაო ნომრები,ნაირგვარი კონკურსები — აი, ამათ უნდა გაამრავალფეროვნონ, ახლებურად წარმოაჩინონ ქართული კალათბურთი და ტრიბუნებზე ქომაგები მიიზიდონ.

მოკლედ, იქნება კალათბურთი და შოუ, ანუ ბურთი და სანახაობა, რაც, კაცმა რომ თქვას, მშვენიერი ჩანაფიქრია, ოღონდ, ისე არ მოხდეს, შოუმ დაჩრდილოს კალათბურთი.

# უყურეთ კალათბურთს და დაალევინეთ თვალს წყალი

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 8 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ როგორ გამოიყენა სამი კვირა



ბორჯომი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

## ბორჯომი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ზ. ჯვარიძე, ხ. გაგნიძე; ო. ხეცაძე;
დამკვირვებელი: მ. ჭელიძე

საჩხერე. 14 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

## ჩიხურა — ოლიმპი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; პ. დოგრაშვილი;
დამკვირვებელი: ა. დურსუნიში

ბათუმი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო

## ბათუმი — მერანი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ო. მოლოდინაშვილი, მ. ნაკაიძე; ა. გუნთაძე;
დამკვირვებელი: მ. მაღლაფერიძე

თბილისი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი

## დინამო — ლოკომოტივი

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი; დ. სანაია;
დამკვირვებელი: ნ. კაკულია

გორი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — ზესტაფონი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ფიფია, ზ. ერქვანია; ა. ნონიკაშვილი;
დამკვირვებელი: ს. კოტრიკაძე

თბილისი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. ამერი

## ამერი — კახეთი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ვ. ელისაბედაშვილი
დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

ქუთაისი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო

## ტორპედო — სიონი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; ჯ. ბუიშვილი;
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

სამკვირიანი შესვენების შემდეგ დღეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. მე-8 ტურში მთავარი მატჩის სტატუსს ვერც ერთ წყვილს ვერ მივანიჭებთ, თუმც ისეც არაა საქმე, რომ მე-8 ტურის შემდეგ ცხრილის ზედა ნაწილში ცვლილებები არ უნდა მოხდეს...

საჩხერის „ჩიხურასგან“ უფრო მეტი იყო მოსალოდნელი, ვიდრე მისი ახლანდელი მე-10 ადგილია. შესაძლოა, გუნდმა ჩემპიონატში სამკვირიანი შესვენება ძალიან ნაყოფიერად გამოიყენა და რუსთავის „ოლიმპს“ მედგრად დაუხვდეს. სამი კვირა არც „ოლიმპისთვის“ უნდა ყოფილიყო უქმე — თუ რევაზ გეწაძე და გოჩა ხოჯავა უკვე ოპტიმალურ ფორმაში არიან, „ოლიმპს“ მნიშვნელოვნად გააძლიერებენ. აქამდე ისინი საუკეთესო ფორმაში არ იყვნენ და საინტერესოა, ახლა რა კონდიციაში არიან — „ოლიმპი“ ხომ ლიდერია და უკვე ალბათ ჩემპიონობაზეც ფიქრობს.

მოკლედ, მიმდინარე ჩემპიონატში ჯერაც გოლგაუშვებელ რუსთაველებს ზემო იმერეთში იოლი თამაში არ უნდა ჰქონდეთ.

თუ „ოლიმპს“ ფეხი დაუცდა, ამით თბილისის „ამერმა“ უნდა ისარგებლოს — ამერელები საკუთარ თავთან თუ არ დამარცხდნენ, თელავის „კახეთის“ ძლევა მათთვის დიდი პრობლემა არ იქნება.

ლიდერთა უახლოესი სამი მდევრიდან ყველაზე რთული მატჩი ალბათ „ტორპედოს“ ექნება — ქუთაისელებს ჩემპიონი სტუმრობს. ბოლნისის „სიონი“ ადრინდელივით ვერ ყოჩაღობს, მაგრამ სასიამოვნო მეტოქე არავისთვისაა. ვფიქრობთ, ამ წყვილში შანსები თანაბარია და ტურის ერთ-ერთი საინტერესო მატჩი უნდა გამოვიდეს. „ტორპედომ“ ბოლო სამი თამაშიდან ყველა მოიგო და ალბათ ესეც მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედ ჩემპიონს სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს.

წინა ტურში თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ „ოლიმპთან“ 0:4 წააგო და რეაბილიტაციის შანსი ბორჯომში ეძლევა, სადაც ხელოვნურ საფარზე მოუწევს თამაში. ფავორიტი „ვიტ ჯორჯიაა“ და თუ „ბორჯომმა“ სენსაცია არ მოახდინა, ვიტელები კურორტიდან სამ ქულას წამოიღებენ.

ძალიან ძნელადპროგნოზირებადია „ბათუმი“ — „მერანის“ შედეგი. თითქმის თანაბარი ძალის გუნდების შეხლა ურიგო სანახავი არ უნდა იყოს — ამ წყვილში უპირატესობას ვერავის მივანიჭებთ.

„მერანს“ ბოლო ორ შეხვედრაში გოლი არც გაუტანია და არც გაუშვია. „ბათუმს“ „მერანზე“ უკეთესი სხვაობა აქვს გატანილ და მიღებულ ბურთებს შორის, თუმც ეს ისეთი სტატისტიკაა, დღევანდელი მატჩის შედეგის გამოსაცნობად ალბათ ვერ გამოდგება.

„ზესტაფონს“ გორში გამარჯვება მართებს და ნებისმიერი სხვა შედეგი მისთვის წარუმატებლობად შეფასდება. ზესტაფონელებმა ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი დაიმატეს და მათი საქმეში ნახვა მართლაც საინტერესო იქნება.

ზოგადად, ძალიან საინტერესოა, რას გახდება დუშან უჰრინის თბილისის „დინამო“ — უკვე დროა, გუნდს ახალი მწვრთნელის ხელი ოდნავ მაინც დაეტყოს. დღეს დინამოელთა მეტოქე „ლოკომოტივია“ და უჰრინის გუნდს დიდად არ უნდა გაუჭირდეს — დინამოელთათვის ახლა ყველა თამაშს ოქროს ფასი აქვს, რადგან მეექვსე ადგილიდან ლიდერებში აღზევებას დაკარგული ქულები მოუსპობს გზას.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 7 | 6 | 1 | 0 | 18:0 | 19 |
| ამერი | 7 | 6 | 1 | 0 | 13:2 | 19 |
| ზესტაფონი | 7 | 4 | 2 | 1 | 8:3 | 14 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 2 | 1 | 12:8 | 14 |
| ტორპედო | 7 | 4 | 2 | 1 | 7:3 | 14 |
| დინამო | 7 | 4 | 0 | 3 | 12:6 | 12 |
| სიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 10 |
| ლოკომოტივი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | 8 |
| მერანი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:10 | 8 |
| ჩიხურა | 7 | 1 | 3 | 3 | 4:8 | 6 |
| ბათუმი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:7 | 5 |
| ბორჯომი | 7 | 1 | 1 | 5 | 8:16 | 4 |
| დილა | 7 | 0 | 2 | 5 | 4:18 | 2 |
| კახეთი | 7 | 0 | 1 | 6 | 7:21 | 1 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი
XI ტური

ბასტია 1:2 შატორუ
ბრესტი 1:1 ამიენი
დიჟონი 2:1 ნიორი
გენიონი 1:0 აიაჩო
ისტრი 0:1 ლე ავრი
ლიბურნი 1:1 გენგამი
მეცი 2:0 კრეტეი
რეიმსი 2:1 ტურსი
სტრასბური 1:0 გრენობლი

## რუმინეთი

A დივიზიონი
XI ტური

უნივერსიტატეა 1:0 ჩაჰლაული
სტიაუა 4:2 კლუჟი

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. VII ტური

დენ ჰააგი 1:2 ტვენტე

II დივიზიონი. XI ტური

აპელდორნი 0:3 როზენდალი
დორდრეხტი 1:3 გრააფსხაპი
ალმერე 1:1 სიტარდი
ჰელმონდი 0:5 ემენი
მაასტრიხტი 1:3 კამბური
ვეენდამი 2:2 ეინდჰოვენი
ვენლო 0:0 ვოლენდამი

## პორტუგალია

სუპერლიგა. VI ტური

ბეირა მარი 0:3 ბრაგა

## იტალია

სერია B. VII ტური

ვიჩენცა 1:1 ნაპოლი

## გერმანია

ბუნდესლიგა. VII ტური

მაინცი 1:3 ალემანია

II ბუნდესლიგა. VII ტური

აუგსბურგი 1:0 ფიურტი
ბრაუნშვაიგი 2:0 მიუნხენი
დუისბურგი 1:1 ფრაიბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XI ტური

ლიუბეკი 1:0 დინამო

სამხრეთ რეგიონალლიგა
XI ტური

როიტლინგენი 0:0 ვეჰენი
პფულენდორფი 0:1 ჰოფენჰაიმი
დარმშტადტი 1:3 ელვერსბერგი
ზიგენი 1:2 მიუნხენი (მ)

## შოტლანდია

I დივიზიონი. IX ტური

ლივინგსტონი 0:1 ჰამილტონი

## ავსტრია

I დივიზიონი. XII ტური

ლუსტენაუ 3:1 ადმირა
ჰარტბერგი 1:2 ლეობენი
კაპფენბერგი 0:0 გრატკორნი
კერნტენი 1:2 ლინცერი
პარნდორფი 0:0 აუსტრია (ლ)
შვანენშტადტი 1:1 აუსტრია (მ)

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა
X ტური

კრიენსი 6:1 ვილი

## ინგლისი

ჩემპიონატი. XI ტური

საუთენდი 2:3 ქოვენთრი

I ლიგა. XIV ტური

ნორთჰემპტონი 0:0 ბრედფორდი
ტრანმერი 1:2 პორტ ვეილი

## პოლონეთი

I ლიგა
X ტური

ლეხი 4:0 ლოძი

## ირლანდია

პრემიერლიგა
XXVI ტური

ბოჰემიანსი 0:1 სენტ პატრიკსი
ბრეი 2:1 კორკი

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა
X ტური

მეტალურგი (დ) 3:2 ზარია

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
IX ტური

ფეჰერვარი 2:0 ტატაბანია

UNDER17 CHAMPIONSHIP

ევრო 2007. პირველი შესარჩევი ეტ...

# ათასმეერთედ ნანახი: ვჯობდით, წავაგეთ...



მურად დოლენჯაშვილის ფოტო

ლევან ყენიამ რუსებს გოლიც გაუტანა და უამრავი პრობლემაც შეუქმნა

თბილისი. 13 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 3 000 (ტევადობა 25 600)

## საქართველო 1:2 რუსეთი

| | |
|---|---|
| 0:1 ვავილჩენკოვი (12), 1:1 ყენია (70), 1:2 ვავილჩენკოვი (75პ) | |
| საქართველო: მაკარიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ბუკია (სორდია 30), კალანდია, თარხნიშვილი (მამუჩიშვილი 69), შონია (ხოკერაშვილი 56), ბერიძე, ყენია, სალარიძე, მჭედლიძე. სათადარიგონი: დგებუაძე; მაჭავარიანი, ჯოხაძე, ბეგლარიშვილი. მწვრთნელი: პერბერტ ცანკერი | რუსეთი: მანევი, ვავილჩენკოვი, კოჟევნიკოვი, დმიტრიევი, კამბოლოვი, პერეპელიუკოვი, მიაკინკინი (კუდრიავცევი 53), ძაგოევი, სმოლოვი (გრიგორიევი 46), შუმილინი, ვოინოვი (პეტროვი 66). სათადარიგონი: კობოზევი; ბურლაკი, ჩეკმარევი, დელკინი. მწვრთნელი: ანდრეი ტალალაევი |
| გაფრთხილება: ბუკია (25), კამბოლოვი (26), პერეპელიუკოვი (54), ხოკერაშვილი (58), კალანდია (70), ვავილჩენკოვი (79) | |
| მსაჯები: ი. ცალიდისი; ს. პანოუ (ორივე საბერძნეთი), მ. მალმბერგი; ტ. ვეილგარდი (ორივე დინია) | |

**ილია ნანობაშვილი**

**...როდემდე,** სადამდე, ერთხელ ჩვენც მოგვხედოს იღბალმა, ერთხელ ქართველებისთვისაც იყოს ფეხბურთი ლოგიკური... სად იყო რუსებთან თამაში წასაგები? წაგება კი არა, უნდა მოგვეგო, მაგრამ არ უნდა ქართველების ფეხიდან ბურთს კარში შევარდნა და რა გინდა, რომ ჰქნა?!

ჩვენი 17-წლამდელები სახელმწიფო ჰიმნისას ისე შემართულები და ომახიანები იყვნენ, ეტყობოდათ, რომ თავს შეაკლავდნენ რუსებს.

...ლევან ყენიას დრიბლინგი მცველებმა შეაჩერეს, მაგრამ ლევან მჭედლიძის ფეხიდან ბურთი სანტიმეტრით ასცდა კარს; ისევ ყენიამ დასცხო და მეკარის ნაცვლად მცველებმა მოიგერიეს; თორნიკე თარხნიშვილის გასროლილიც ასცდა კარს — ეს ყველაფერი საწყის ორ წუთში მოხდა, ჩვენები რუსებს ამოსუნთქვას არ აცლიდნენ. ერთი მომენტი სტუმრებმაც გამოუშვეს, როცა ფიოდორ სმოლოვმა დაახლოებით საპენალტე ნიშნულიდან მეკარე გიორგი მაკარიძეს დაუმიზნა.

მე-12 წუთზე კი დასანანი გოლი გავიდა: რუსების შეტევისას ჩვენებმა ცუდად მოიგერიეს ბურთი და ანდრეი ვავილჩენკოვმა ცაციათი დაარტყა საჯარიმოს მისადგომებიდან — 0:1.

ცანკერის ბიჭები გასათანაბრებლად მიაწვნენ, ყენიას შეტევები კი ერთ ნახვად ღირდა: ქართველთა მე-10 ნომერი უდავოდ საუკეთესო იყო მინდორზე. ლევანი ყველაზე გამოცდილია ცანკერის გუნდში, რამდენიმე თვეა, თბილისის „ლოკომოტივის" ძირითად გუნდში თამაშობს და 15 წლის ბიჭისთვის უმაღლეს ლიგაში ბურთაობა, მგონი, პატარა საქმე არ არის — ყენიას 16 წელი 18 ოქტომბერს შეუსრულდება.

ქართველი 17-წლამდელები ეროვნულის დარი 4-3-2-1 სქემით თამაშობდნენ, პირველ ტაიმში ჩვენი მარცხენა ფლანგი უფრო აქტიური იყო, სადაც გიორგი სალარიძე რამდენჯერმე გაექცა მცველებს და მე-18 წუთზე სწორედ იქიდან შეიქმნა ხიფათი — სალარიძის ჩაწოდებულს ყენიამ უხერხულად მიარტყა ფეხი და კარს ააცილა.

სულ მალე ყენია ფლანგზე სამ რუსს გაექცა და ბურთი თემურ შონიას მიაწოდა, ვისი დარტყმულიც სტუმართა მეკარე სტანისლავ მანევმა კარის ხაზზე გააქვავა. ყენია-სალარიძეზე ვთქვით და, ცანკერის სამწყსოდან მარჯვენა მცველი გურამ მინდორაშვილი და ტანმაღალი ცენტრფორვარდი ლევან მჭედლიძეც უნდა გამოვარჩიოთ — მჭედლიძე იტალიურ „ემპოლიში" და, როგორც შევიტყვეთ, მაისში ოფიციალურ კონტრაქტსაც გააფორმებს სერია A-ს კლუბთან.

ქართველები მეორე ნახევარშიც უკეთ თამაშობდნენ, რუსი ჭაბუკები კი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო უკან იწევდნენ და 8 კაცით იცავდნენ თავს.

43-ე წუთზე (როგორც წესი, 17-წლამდელთა მატჩები 80-წუთიანია) მჭედლიძემ თორნიკე ბერიძის ჩაწოდების შემდეგ ახლოდან ააცილა, რასაც ყენიას მორიგი დრიბლინგი მოჰყვა და მანევმა მუშტებით მოიგერია ბურთი. თავის მხრივ, რუსებიდან ჯერ ევგენი შუმილინმა ააცილა, მერე კი ვავილჩენკოვის საჯარიმო მოიგერია მაკარიძემ.

ქართველები ჯიგარს აქსოვდნენ თამაშში, მაგრამ ჩრდილოელები ძალიან ჩაიკეტნენ საკუთარ საჯარიმოში და ატალახებულ მინდორზე მომენტების შექმნა ჭირდა. და მაინც, 71-ე წუთზე მჭედლიძის შორიდან დაქუხებული მანევმა ხელში ვერ შეიმაგრა და ყენიამ ცარიელ კარში დაამატა — 1:1. ახლა მოგებაც შეიძლება!

ვინ გაცალა სიხარული, მალევე საჯარიმოში შეჭრილი ალექსანდრ პეტროვი ჩვენიანმა მოცელა თუ რუსმა იმსახიობა, ვერ გეტყვით, მაგრამ ბერძენი მსაჯი იოანის ცალიდისი გამაყრუებელი სტვენით მიიჭრა პენალტის ნიშნულთან — მაკარიძემ ვავილჩენკოვს კუთხე გამოუცნო, მაგრამ ბურთს მაინც ვერ მისწვდა.

დარჩენილ წუთებშიც ჯიქურ მიაწვნენ ქართველები, გიორგი მამუჩიშვილმა შორიდან ააცილა, მჭედლიძის თავურიც ვერ იყო ზუსტი და დასანანი შეხვედრა წავაგეთ. ახლა კი ჩვენი შანსი დარჩენილი ორივე თამაშის მოგებაა — მაკედონიასთან კი, მაგრამ იქამდე გერმანიაა...

ისე, ტყუილად ეგონათ რუს 17-წლამდელებს, საქართველოში მტრულად დაგხვდებიანო. 3 000 მაყურებლის ფონზე ქომაგობა მართლაც კარგი იყო.

მატჩს კი კლაუს ტოპმიოლერიც დაესწრო.

ბოლნისი. 13 ოქტომბერი. 12 საათი. თემურ სტეფანია. 2 000 (ტევადობა 4 500)

## გერმანია 7:1 მაკედონია

| | |
|---|---|
| 1:0 გოლცი (11), 2:0 კნოლი (13), 3:0 ფუნკე (25), 4:0 ბიგალკე (29), 5:0 კროოსი (47), 5:1 ტრიფუნი (64პ.), 6:1 დოვიდატი (66), 7:1 ბიგალკე (74) | |
| გერმანია: ჰოლატი, ტეიშერი, პაპენი, შტადლერი (გოიტცე 51), ვოლცი, ზაუერბირი, ფუნკე (რაუში 60), კროოსი, ბიგალკე, უნრი, კნოლი (დოვიდატი 51). სათადარიგონი: გიდერი; ეკერსი, მიიერი, ტასისიერი. მწვრთნელი: პაულ შომანი | მაკედონია: ივანოვი, ანგელოვსკი, ურდენოვი, სტოიანოვსკი, ცვეტანოვი, რისტევსკი (ველანოვსკი 41), შაბაჰი (აჯდი 63), სპიროვსკი (ადემი 45), დ. ცვეტანოვსკი, გეორგიევი, ტრიფუნოვსკი. სათადარიგონი: დამე; კურტი, პოპზაფიროვი, სტოიანოვი. მწვრთნელი: ზლატკო ცვეტანოვსკი |
| გაფრთხილება: სპიროვსკი (18), შაბაჰი (43), შაბაჰი (50), ცვეტანოვი (73), ზაუერბირი (75) | |
| გაძევება: შაბაჰი (50) | |
| მსაჯები: ზ. საბო (უნგრეთი); ზ. მინდიაშვილი (საქართველო), ი. ალბერტი (უნგრეთი); გ. ვადაჭკორია (საქართველო) | |

# მომავლის დოიჩლანდი

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

**აი,** გერმანია და გერმანიის მომავალი... ეს ჭაბუკი გერმანელები თურმე უკვე ექვსი წელია, ერთად მოდიან და აგერ გუშინ როგორი შედეგიც აჩვენეს.

გერმანელებმა „თამაზ სტეფანიაზე" შვიდი გოლი ხომ გაიტანეს, ორი ამდენი ნაღდი საგოლე მომენტიც წყალს გაატანეს და მაკედონიელთა ის ერთადერთი ბურთიც თავიანთ კარში შეაგდეს — მაკედონიელი ფორვარდის დარტყმული ტეიშეირას მოხვდა და მეკარეც უძლური აღმოჩნდა. ამ დროისთვის გერმანელებს ხუთი გოლი მეტოქისთვის გატანილი ჰქონდათ, მაგრამ მაინც ისე გაბრაზდნენ და ერთმანეთს ისეთი შეუფუცხუნეს, წუთშივე მაკედონიელებს მეექვსედაც გამოატანინეს ბურთი კარიდან.

საქმე კი პაულ შომანის გუნდმა მალევე მოაგვარა. მე-11 წუთზე ჯერ ვოლცმა დააწინაურა თავისიანები, ხოლო ორ წუთში კნოლმა გაზარდა სხვაობა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ გერმანელებმა მეტოქეს შესვენებამდე კარისკენ არც დაარტყმევინეს — მცველები ისე გონივრულად აზღვევდნენ ერთმანეთს, თავდამსხმელებს უსაქმოდ ტოვებდნენ.

ორბურთიანი ფორის შემდეგ გერმანელებმა 10-15 წუთი ამოისუნთქეს, მერე კი ზედიზედ კიდევ ორჯერ იხეირეს, თანაც ერთმანეთზე ლამაზად და ჩანდა, წინასწარ ბევრჯერ დამუშავებული კომბინაციებით გაიტანეს. თანაც ბურთი ცენტრიდან მეტოქის კარამდე თითო შეხებით მიიტანეს და უპრობლემოდ გაუსწორდნენ მეკარე ივანოვს.

გერმანელთაგან აშკარად გამოირჩეოდნენ ძვალწვრილი და ტანმორჩილი ფორვარდი ტონი კროოსი, ვისიც გერმანელებს, ალბათ, ძალიან ეიმედებათ და კაპიტანი პატრიკ ფუნკი, მოედნის ცენტრის ბატონ-პატრონი და გონიერი ნახევარმცველი.

შესვენებამდე გერმანელებმა ორბურთიანი სხვაობა კი იკმარეს, მაგრამ განახლდა თუ არა თამაში, კროოსმა ისეთი საჯარიმო შეასრულა, თქვენი მოწონებული. მოგვიანებით ერთი გოლიც შეცვლაზე შესულმა დოვიდატმა გაიტანა, წერტილი კი შეხვედრას, ისევ საჯარიმოდან ულამაზესი გოლით, ბიგალკემ დაუსვა.

საინტერესო დეტალი: გერმანელთაგან ყველა გოლი სხვადასხვა ფეხბურთელმა გაიტანა, რაც მათ გუნდურ თამაშსა და ფეხბურთელთა თანაბარძალოვან შესაძლებლობებზე მეტყველებს.

მატჩს ბოლნისში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც ესწრებოდა და შეხვედრის შემდეგ სწორედ მან თქვა, ეს ბიჭები თავიანთი ტექნიკური შესაძლებლობებით გერმანიაში ისედაც გამოირჩეოდნენ, ახლა კი ტაქტიკური ცოდნაც მიუღიათ და მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურებიანო.

მოკლედ, დავიმახსოვროთ ამ 16 წლის ბიჭების სახელები, ხუთი-ექვსი წლის შემდეგ კი არ გაგიკვირდეთ, მათ მსოფლიოც აალაპარაკონ.



ბადრი კეთილაძის ფოტო

მაკედონიელთა მეკარემ ბევრიც მოიგერია და ბევრიც გაუშვა

# მილანის ფანებმა კალაძეს უფანეს

## საქართველოს საუკეთესო კლუბის საუკეთესოცაა



ᲐᲘ, აღიარება და დაფასება — მილანში დაბრუნებულ საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს კლუბში სასიამოვნო სიურპრიზი დაახვედრეს. სათქმელი პირდაპირ ვთქვათ: კახა კალაძე 2005-2006 წლების „მილანის" საუკეთესო ფეხბურთელია!

საქმე ასეა: გამოკითხვა „მილანის" ფან-კლუბთა ასოციაციამ მოაწყო, სადაც ხმის მიცემა ნებისმიერ მსურველს შეეძლო, რჩეული კი სამ თვეში უნდა დაესახელებინათ. ჰოდა, ფანებმაც ერთხმად თქვეს — კალაძე!

სასიამოვნოა, რომ „სარბიელის" ტრადიციული გამოკითხვით საქართველოს 2005-2006 წლების საუკეთესო ფეხბურთელმა ამ გამოკითხვაში საგრძნობლად ჩამოიტოვა „მილანის" ლეგენდა პაოლო მალდინი, მესამე ადგილზე ბრაზილიელი პლეიმეიკერი კაკა გავიდა, ხოლო გასულ ზაფხულს „ჩელსიში" გადასული ანდრეი შევჩენკო ხუთეულშიც ვერ მოხვდა. როგორც ჩანს, „მილანის" ტიფოზებმა უკრაინელს ჯერაც ვერ აპატიეს აბრამოვიჩის გუნდში გადასვლა და ხუთეულს მიღმაც ამიტომ დატოვეს.

კახა კალაძე საგანგებო ჯილდოთი გუშინ მილანელოს საწვრთნელ ბაზაზე დააჯილდოვეს, იქამდე, ვიდრე გუნდი გენუაში, „სამპდორიასთან" სათამაშოდ წავიდოდა.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ**

# გრიგოლ ხურციძის გათავისუფლება გადაიდო



ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ტორპედოს" პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე კვლავ პატიმრობაშია — როგორც ამბობდნენ, იგი 12 ოქტომბერს უნდა გაეთავისუფლებინათ, თუმცა საპროცედურო გარიგება გადაიდო.

როდის გაათავისუფლებენ გრიგოლ ხურციძეს, ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდოდ კი, ეს მალე უნდა მოხდეს, თუმცა კონკრეტული თარიღი ჯერჯერობით ვერ შევიტყვეთ.

შეგახსენებთ, „ტორპედოს" პრეზიდენტი ზაფხულში დააკავეს — კლუბის საქმიანობას გენერალური პროკურატურა ამოწმებდა და ხურციძეს ფინანსურ დარღვევებში ედებოდა ბრალი.

**ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**

რა ხდება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, რა პოლიტიკა ტარდება ქართულ ფეხბურთში — ჩვენი უპირველესი გუნდის შედეგებით და კლაუს ტოპმიოლერის ბოლოდროინდელი განცხადებებით ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა. რესპონდენტად კი თბილისის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად „გაგრას" სპორტული დირექტორი გია გეგუჩაძე ავირჩიეთ...



# გია გეგუჩაძე: ფულს არასწორად ვხარჯავთ

## უცხოელი მეკარე აუცილებელია!

— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი არ უნდა ესწრებოდეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს?

— რა თქმა უნდა, ნაკრების მწვრთნელი უნდა ესწრებოდეს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს და იქაც ეძებდეს ნაკრებისთვის საინტერესო ფეხბურთელებს. მაგალითად, მარცვალაძე საქართველოში თამაშის დროსაც მზად იყო ნაკრებში სათამაშოდ და ამისთვის სულაც არაა აუცილებელი კიევის „დინამოში" გადასვლა.

— მიგაჩნიათ, რომ სანაკრებო სპეციფიკა ტოპმიოლერისთვის რთული გამოდგა?

— დიდი ხანი არ არის, რაც ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებს წვრთნის და ასეთი დასკვნის გაკეთება ჯერ ძნელია. მიუხედავად წარუმატებლობებისა, ნაკრებმა მაინც მოახერხა კარგი თამაშის ჩვენება, მაგალითად, უკრაინასთან. ზოგადად კი, ნაკრების გაწვრთნა უფრო რთულია, ვიდრე კლუბის, თუმც არიან გამონაკლისი მწვრთნელებიც.

— ტოპმიოლერმა „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა, იტალიასთან არველაძეს, ასათიანს და მუჯირს რომ ეთამაშათ, დარწმუნებული ვარ, ამ მატჩს მოვიგებდითო...

— ამ ფეხბურთელებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არასწორი განცხადება იყო.

— იტალიასთან გაშვებულ პირველ გოლზე ითქვა, ოთარ მარცვალაძემ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, როცა დე როსის შორიდან დარტყმის საშუალება მისცაო — თქვენ როგორ შეაფასებდით იმ ეპიზოდს?

— შეტევითი და დაცვითი ფუნქციების თანაბრად კარგად შესრულება მარცვალაძეს არ შეუძლია და ეს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო.

— უცხოელი მეკარე საქართველოს ნაკრებში — რას იტყვით ამის თაობაზე?

— ეს მართლაც აუცილებელია და ძალიან გამიკვირდა, რომ ტოპმიოლერმა ამ იდეაზე თავიდან უარი თქვა.

— უკვე ყბადაღებული საკითხია, მაგრამ მაინც: როგორ ფიქრობთ, ტოპმიოლერმა ერთხელ მაინც რატომ არ გამოიძახა დავით სირაძე და ლადო ბურდული?

— როცა ტოპმიოლერი-უთამაშებელ ფეხბურთელებს იწვევს და კიდევ იმას, ვისი თამაში საერთოდ არ უნახავს, სავსებით ლოგიკურია კითხვა, რატომ არ იწვევს ის ამ ორ ფეხბურთელს.

— როგორ გეჩვენებათ, ნაკრების განვითარების რა კურსი აქვს აღებული ტოპმიოლერს?

— გარედან არ ჩანს, თუ განვითარების რა პოლიტიკაა შერჩეული. თუ ჩვენ მიმდინარე შესარჩევ ციკლს უფრო იმისთვის ვიყენებთ, რომ მომდევნო საკვალიფიკაციოსთვის ვაშენებთ გუნდს, მაშინ ეს უნდა ითქვას, ხოლო თუ ახლავე ვუმიზნებთ შედეგს, ის, რომ მაღალი დონის ფეხბურთელი ცოტა გვყავს და უთამაშებელი ფეხბურთელებით ვმარცხდებით იტალიასთან, თავის მართლებას ემსგავსება. როცა საქმეს იწყებ, ჯერ ვითარება უნდა შეისწავლო, გაითვალისწინო, რა მოთხოვნებია და მერე შეუდგე სამუშაოს.

— კამათი გამოიწვია იმანაც, საჭირო იყო თუ არა იტალიასთან მატჩამდე ოთხი დღით ადრე თამაში გერმანიასთან...

— გააჩნია, განვითარების რა პოლიტიკაა არჩეული. თუ უფრო შედეგზე ვფიქრობთ, მაშინ გერმანიასთან თამაში არ იყო გამართლებული — წაგება ოთხ დღეში სათამაშებელი მატჩისთვის ფსიქოლოგიურად უარყოფითად მოქმედებს გუნდზე და თანაც გერმანიასთან თამაში ტრავმების საფრთხეს ზრდიდა. ხოლო თუ უფრო მომავალზე ვფიქრობთ, მაშინ, რა თქმა უნდა, გერმანიასთან თამაში ძალიან კარგი იყო.

— იმ პოლიტიკაზე რა აზრის ხართ, რომ საქმის კეთება ზემოდან დავიწყეთ და არა საძირკვლიდან — სახელმწიფო ფულს უხდის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, სხვა მხრივ კი ფეხბურთში ფულს არ აბანდებს...

— მიმაჩნია, რომ ფულს არასწორად ვხარჯავთ. ნაკრებების მწვრთნელთა შტაბის შენახვა ჩვენთვის დიდი ფუფუნებაა. როცა გერმანულ ფეხბურთს ტალანტები მოაკლდა, გერმანიის საფეხბურთო კავშირი ასე მოიქცა — დაიქირავა კარგი მწვრთნელები და ისინი გერმანიის ყველა მხარეში მიავლინა. ეს მწვრთნელები მხარეებში ეხმარებიან სხვა მწვრთნელებს, არჩევენ ფეხბურთელებს ასაკობრივი ნაკრებისთვის, მუშაობენ ბავშვთა ფეხბურთში. რახან მეტი დაფინანსება არ გვაქვს, უმჯობესი იქნებოდა, ეს ფული მსგავსი პოლიტიკისთვის დაგვეხარჯა. ჩვენთან კი რა ხდება?! ტოპმიოლერს კონტრაქტი დაუმთავრდება და წავა, ჩვენ კი მაინც არ გვექნება შედეგი, არ გვეყოლება დაწინაურებული ახალგაზრდა მწვრთნელები და ფეხბურთელთა ისევ ის კონტინგენტი შეგვრჩება.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ**

# ეროვნული თუნდაც იმიტომ არ არის ცუდი, რომ ის ეროვნულია

კლაუს ტოპმიოლერის საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის ინიციატორები თუ არა, აქტიური მომხრეები ჩვენ, ჟურნალისტებიც ვიყავით. მას აქეთ თითქმის წელიწადი გავიდა, ნაკრებმაც არცთუ ცოტა თამაში ჩაატარა და მათი უმეტესობა, სამწუხაროდ, წააგო. მიუხედავად ამისა, ახლაც ვთვლით, რომ ტოპმიოლერის დანიშვნა სწორი ნაბიჯი იყო და მიჯრით წაგებული თამაშების მიუხედავად — რის გამოც საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი პრაქტიკულად დაკარგა — მასზე აუგი არ დაგვცდენია, რადგან ვფიქრობთ, რომ დღეს ნაკრები აშკარად უფრო გამართულ და გასხნავლულ ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე აქამდე თამაშობდა და რაკი ასეა, ადრე თუ გვიან შედეგიც უნდა მოვიდეს. მაგრამ ისეც არ უნდა იყოს, საქართველოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ვაწყდებით — ადამიანს და მის გადადგმულ ნაბიჯებს ან აფეტიშებენ, ან მიწასთან ასწორებენ ხოლმე. ცხოვრება მექსიკური სერიალი არ არის, სადაც მხოლოდ აბსოლუტურად დადებითი და აბსოლუტურად უარყოფითი პერსონაჟები გვხვდებიან. და რაკი კლაუს ტოპმიოლერი სერიალის გმირი არ არის, მასაც აქვს დადებითი და უარყოფითი თვისებები. უფრო სწორად კი, მის ქმედებებშიც არის სწორი და მცდარი გადაწყვეტილებები. ქვემოთ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ერთ კონკრეტულ ინტერვიუს გავარჩევთ. ეს ინტერვიუ გუშინდელ „სარბიელში" დაიბეჭდა და ვთვლით, რომ ტოპმიოლერის პასუხებში ძალიან ბევრი რამ არის საკამათო. მეტიც, ბევრი რამ ალოგიკურია. ჩვენი დავის საგანიც სწორედ ეს ალოგიკურობაა და არა ის, ვთქვათ, 4-4-2 სქემით უნდა ითამაშოს ნაკრებმა თუ 3-5-2 განლაგებით




თავდაპირველად „გულუბრყვილობის" ბრწყინვალე ნიმუშს წარმოგიდგენთ.

კლაუს ტოპმიოლერი: „მისით (ანდრეა პირლოთი) იმედგაცრუებული ვარ. ისეთ ვარსკვლავს, როგორიც პირლოა, უნდა ენიშნებინა მსაჯისთვის, რომ კანკავას მასთან არ უუხეშია, ის მხოლოდ ბალახზე გასრიალდა."

იყო გასაძევებელი, არ იყო გასაძევებელი, ახლა ეს ჩვენი განხილვის საგანი არ არის. თუნდაც არ იყო, მაგრამ დავიჯეროთ, ტოპმიოლერს მართლა ჰქონდა იმედი, რომ პირლო მსაჯს ხელს გადაუგრეხდა და კანკავას გაძევების უფლებას არ მისცემდა?! სიმართლე გითხრათ, ტოპი არც ისეთი გულუბრყვილო გვგონია, როგორადაც თავს გვაჩვენებს, მით უმეტეს, რომ: „იტალიელებს ყველა იცნობს და ყველამ ყველაფერი იცის მათი პროვოცირებების შესახებ. შემიძლია, მთელი რვეული გაჩვენოთ წინა თამაშებში მათი პროვოკაციებისა და ამის შედეგად მიღებულ ჯარიმებზე" — ესეც თქვა ტოპმიოლერმა და ის რვეული ჩვენს კორესპონდენტს მართლაც ანახა. ჰოდა, თუ იცი, იტალიელ ფეხბურთელთა პროვოკატორობის შესახებ და მთელი კონსპექტიც შედგენილი გაქვს (რაც თავისთავად ძალიან კარგია), რატომღა გიკვირს, პირლომ ჯერ პროვოკაციაზე რომ წამოაგო კანკავა, მერე კი მსაჯს წითელი ბარათი არ გამოსტაცა ხელიდან.

სად არის აქ ლოგიკა?!

ისიც ვთქვათ, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი მეტოქე გუნდზე საჯაროდ, ალბათ, არ უნდა ამბობდეს, პროვოკაციების მოყვარული არისო. ეს შეიძლება ფეხბურთელებს უთხრა თეორიულ მეცადინეობაზე, დახურულ კარს მიღმა.

ისევ ტოპმიოლერი: „არველაძეს, მუჯირს და ასათიანს რომ ეთამაშათ, დარწმუნებული ვარ, ამ თამაშს მოვიგებდით".

კაცი არ გვეგულება, რომ არ ფიქრობდეს, არველაძე, მუჯირი და ასათიანი უთუოდ გააძლიერებდნენ ჩვენს ნაკრებს და უკეთესად ვითამაშებდითო, მაგრამ ამტკიცო, რომ მსოფლიოს ჩემპიონს ამ სამეულის დამატებით უთუოდ დავამარცხებდით, მუშტაიდის ბალში შეკრებილი გულშემატკივრების ლაპარაკს უფრო ჰგავს, ვიდრე ნაკრების მთავარი მწვრთნელისას. ჩვენც გვინდა გვჯეროდეს, რომ სრული საბრძოლო შემადგენლობით საქართველოს გამარჯვება შეეძლო, მაგრამ ამის დამტკიცება როგორ მოხერხდება, ვერ გავიგია. არადა, ბატონი კლაუსი სწორედაც რომ ამტკიცებს: „დარწმუნებული ვარ, ამ თამაშს მოვიგებდით".

კი ბატონო, ლომაიას რომ ის შეცდომა არ დაეშვა, ხიზანიშვილის დარტყმული ორი სანტიმეტრით მარჯვნივ წასულიყო, პირლოს რომ ენამუსა და ასე შემდეგ, ნაღდად მოვიგებდით, მაგრამ ამაზე ლაპარაკი მაინცდამაინც სერიოზული არ უნდა იყოს.

ახლა კი, ჩვენი აზრით, მთავარ საკითხს მივადგეთ.

„სარბიელის" კორესპონდენტის კითხვაზე, რატომ არ ესწრება კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს, მწვრთნელი პასუხობს: „ჩვენ აქ საკმაოდ ბევრი მატჩი ვნახეთ".

ალბათ უმჯობესი იყო, ეპასუხა, ჩემმა ძმამ და რალფ მინგემ ბევრი მატჩი ნახესო, რადგან „ჩვენ ვნახეთ" საკუთარ თავსაც მოიცავს, არადა, კლაუს ტოპმიოლერს ბევრი მატჩი ნაღდად არ უნახავს.

კარგით, ეს „ჩვენ ვნახეთ" ტოპმიოლერს გრამატიკულ შეცდომად ჩავუთვალოთ, უფრო მნიშვნელოვანი მისი ეს ნათქვამია: „თითქმის ყველა გუნდის თამაშზე ვიყავით და რამდენიმე თამაში საერთოდ კატასტროფა იყო, ჩვენი საბჭოც იმ აზრზეა, რომ აქ დაკვირვება აღარ არის საჭირო — მხოლოდ დროის ფუჭი ხარჯვაა და მეტი არაფერი".

დავძინოთ, რომ კლაუს ტოპმიოლერმა იხმარა სიტყვები DIE ZEIT VERGEUDEN, რაც „ოქროს დროის" ფუჭ ხარჯვას ნიშნავს და აზრს კიდევ უფრო ამძაფრებს.

„ყველა კარგი მოთამაშე უკვე საზღვარგარეთ თამაშობს" — ესეც ტოპმიოლერის სიტყვებია ამავე ინტერვიუდან.

ჩვენ კი ვიკითხოთ: ეს კარგი მოთამაშეები სანამ საზღვარგარეთ წავიდოდნენ, საქართველოს ჩემპიონატში არ თამაშობდნენ? გნებავთ, კითხვა ასე შევაბრუნოთ: უცხოელმა მწვრთნელებმა ეს კარგი ფეხბურთელები ქართულ კლუბებში თამაშისას არ შეამჩნიეს? რაღა შორს წავიდეთ, ორი ფეხბურთელი დავასახელოთ — ოთარ მარცვალაძე და მალხაზ ასათიანი. რუსებმა მალხაზი ქუთაისში იპოვეს, უკრაინელებმა კი ოთარი მცხეთაში აღმოაჩინეს. ანუ, საქართველოში კარგი ფეხბურთელის პოვნა შესაძლებელი ყოფილა!

ჩემპიონატის სასურველ დონემდე აწევას კიდევ ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდება, ამას ტოპმიოლერის გარეშეც ვხედავთ, მაგრამ ამ ჩემპიონატშიც შეიძლება იპოვო ცალკეული ფეხბურთელები, რომლებიც სანაკრებოდ გამოგადგება. სწორედ ეს გააკეთეს მოსკოვის „ლოკომოტივმა" და კიევის „დინამომ". ნაკრების მწვრთნელისგანაც ჩვენ სწორედ ამას ვითხოვთ და არა საერთო დონის შეფასებას. სხვათა შორის, იოჰან ბოსკამპმა თავის დროზე სწორედ საქართველოს ჩემპიონატში იპოვა ზურაბ ხიზანიშვილი, რომლის პერსპექტიულობაშიც ძალიან ბევრს ეჭვი ეპარებოდა.

ისე, ჰერ კლაუსი თავისი მოსაზრებით, აქ დაკვირვება აღარ არის საჭირო, მხოლოდ დროის ფუჭი ხარჯვაა და მეტი არაფერიო, საკუთარ ძმასაც და გერმანელ თანაგუნდელებსაც დათვურ სამსახურს უწევს.

აბა, დავითვალოთ:

— საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების წევრთა უმეტესობა საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს!

— საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს!

— საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრების 100 პროცენტი საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს!

და თუ „აქ დაკვირვება აღარ არის საჭირო — მხოლოდ დროის ფუჭი ხარჯვაა და მეტი არაფერი", გამოდის, რომ ბატონები რალფ მინგე, ჰაინც ტ. პმიოლერი და ჰერბერტ ცანკერი ფუჭად ირჯებიან! მაშინ რატომღა მუშაობენ? მხოლოდ იმიტომ, რომ კარგ ჯამაგირს იღებენ?

ან თავად ბატონი კლაუსი რატომ დარჩა ნაიტალიევს საქართველოში 17-წლამდელთა თამაშების სანახავად, თუკი ეს დროის ტყუილ-უბრალოდ ხარჯვაა.

ნაკრების მწვრთნელის მოსაზრებასთან დაკავშირებით ჩვენ ფეხბურთის ფედერაციის და პროფლიგის მისამართითაც გვიჩნდება კითხვები.

რა ხანია, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ამავდროულად პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი თანაგუნდელებთან ერთად საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე დასწრების გასაზრდელად გულშემატკივართა მოზიდვაზე მუშაობს. ამ დროს კი ნაკრების მთავარი მწვრთნელი თავისი განცხადებით ხალხს საპირისპიროსკენ უბიძგებს. აკი, ერთი გუნდი ვართო?!

საერთოდ კი, თემები, რომელთაც ამ წერილში შევეხეთ, უფრო გლობალურია და მწვრთნელის ერთი ინტერვიუსადმი გამოხმაურებას სცილდება. ამიტომ ამ თემებზე საუბარს კიდევ მივუბრუნდებით.

ეს წერილი კი თავში ნათქვამის გამეორებით დავასრულოთ: კლაუს ტოპმიოლერის ხელში ნაკრები უკეთ თამაშობს, ვიდრე იქამდე თამაშობდა. იმედიც გვაქვს, რომ ხვალ უკეთესად ითამაშებს, ზეგ — ძალიან კარგად. ამდენად, ჩვენი მოსაზრებების გამოთქმისას „მოყვარეს პირში უძრახეს" პრინციპი გვამოძრავებს. გაგრძელება კი, როგორც დაგპირდით, იქნება.

**გიორგი დარჯანია**

# მიხაელ ბალაკს ცოლმა სუფრაზე ჩელსი გაუშალა



**მიხაელ ბალაკმა სანაკრებო საქმეები ხუთიანზე მოაგვარა, გერმანიის ეროვნულ გუნდს სლოვაკეთთან უკაპიტნა და გოლიც შეაგდო. ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში გერმანია ლიდერ ჩეხეთს ერთი ქულით ჩამორჩება, ბალაკი კი ამჟამად მარტო ერთ დუელზე, „ჩელსის“ შემადგენლობაში „ბარსელონას“ დამარცხებაზე ფიქრობს. ოთხშაბათს „სტემფორდ ბრიჯზე“ ერთობ დაცხება. „ჩელსის“ არენას საფეხბურთო ვნებები გაავარვარებს. დიდი ომის წინ მიხაელ ბალაკს ინტერვიუსთვის კატალონიური „ელ მუნდო დეპორტივოს“ ჟურნალისტი ესტუმრა. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე, „ჩელსის“ გერმანელი ვარსკლავი „ბარსელონაში“ გადასვლის რეალური კანდიდატი გახლდათ. 2004 წელს ბალაკს საფეხბურთო კარიერა „ალიანს არენადან“ თითქოს „კამპ ნოუზე“ უნდა გაეგრძელებინა, თუმცა... ერთი სიტყვით, ბალაკი დღეს აბრამოვიჩის გუნდის მეომარია (სხვათა შორის, აღმოსავლეთ გერმანიაში დაბადებულ-გაზრდილი მობურთალი რუსულად თავისუფლად მეტყველებს) და ოთხშაბათს „ბარსელონას“ უნდა ეომოს**

— „ჩელსი“ „ბარსას“ წინააღმდეგ „სტემფორდ ბრიჯზე“ ევროპული სუპერკლასიკო გაიმართება...

— ამჟამინდელ „ჩელსი“ — „ბარსას“ საფეხბურთო ვნებების მხრივ ვერც ერთი მატჩი ვერ შეედრება. ასეთი შეხვედრები იშვიათია. შემიძლია, ვთქვა, რომ ისტორიას ვქმნით. სამწუხაროდ, მსგავსი საოცარი დაპირისპირებები მომავალში აღარ იქნება... შეიძლება, მსოფლიო ფეხბურთს ამით ცუდ მომავალს ალვუთქვამდე, მაგრამ აბა, დაფიქრდით — ორი საოცარი გუნდი, საოცარი ფეხბურთელებით, მებრძოლი სულისკვეთებით. ვეჭვობ, ვინმემ ეს გაიმეოროს. „ბარსა“ — „ჩელსი“ თვითონ ფეხბურთია...

— ამბობენ, რომ თქვენს გუნდს შეთამაშება აკლია. მიუხედავად წლეულს განხორციელებული დიდი ტრანსფერებისა, „ჩელსი“ თავის სიძლიერეს სრულად ვერ ავლენს...

— ეს „ბარსელონასთან“ გამოჩნდება. ოთხშაბათს ვნახოთ, „ჩელსი“ რასაც წარმოადგენს.

— კატალონიელებთან ბრძოლას როგორი განწყობით ხვდებით?

— ჩვენს საომარ შემართებას ოთხშაბათის მატჩი დაამტკიცებს.

— ინგლისური მედია კი დაბეჯითებით იმეორებს, რომ თქვენ და ანდრეი შევჩენკო ახალ კლუბს ჯერ ვერ შეეჩვიეთ...

— ყველაფერს თავისი დრო აქვს. გუნდის გამარჯვებისთვის თავს არ ვზოგავთ, მაგრამ შეიძლება, „ჩელსიში“ თავი ჯერ სრულად ვერ წარმოვაჩინეთ.

— თუმც შევჩენკო მაინც უცნაურად, დაბნეულად გამოიყურება...

— დიდი ინდივიდუალისტები გუნდურად თამაშს ეჩვევიან... ყველა გუნდს თავისი სპეციფიკა აქვს და იქ სხვანაირად გადაწყობაა საჭირო. „ჩელსიში“ ყველა ვარსკლავია, მეკარიდან დაწყებული, ცენტრალურ თავდამსხმელამდე — ჩეხი, ტერი, კარვალიუ, ლამპარდი, დროგბა, კალუ, მაკელელე, ესიენი, შევჩენკო... როგორ გინდა, ეს ხალხი გუნდური პრინციპით აამოქმედო, მაგრამ როცა ამას სრულფასოვნად შევძლებთ, წინ ვერავინ დაგვიდგება.

— ახალ თანაგუნდელებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— შესანიშნავი, „ჩელსის“ შემადგენლობასთან საერთო ენის გამონახვა არ გამჭირვებია. ვარჯიშების შემდეგ მოედანზე კარგა ხნით ვრჩებით და ერთმანეთის მოყოლილ ანეგდოტებზე სიცილით ვიფხრიწებით... ოცდაათი წლის რომ გავხდი, ბიჭებმა დაბადების დღეზე მაგარი სურპრიზი მომიწყვეს. მივედი შინ და იქ ფიესტა დამხვდა... ჩემს მეუღლეს ყველაფერი სცოდნია, მე კი „გამაცურეს“.

— და მაურინიუ?

— დაბადების დღის შესახებ თუ მეკითხებით, ჩემთან სახლში არ მოსულა. დავპატიჟე, მაგრამ შემომითვალა, გადაუდებელი საქმეები მაქვს და უჩემოდ იმხიარულეთო. ჩემი აზრით, უკეთესი იყო, სუფრაზე მარტო ფეხბურთელები რომ ვიყავით.

— მაურინიუზე, როგორც მწვრთნელზე და ადამიანზე, რას გვეტყვით?

— გენიალური ადამიანაა. საოცარი აურა აქვს, კაცს შეუძლებელს შეგაძლებინებს. როგორც პიროვნება, შესანიშნავია. იშვიათად, რომ პირად საუბარში ვინმემ მასზე უკეთესად გაგიგოს. გუნდს რკინის ხელით მართავს და ახალგაზრდული ასაკი მისთვის დაბრკოლება არ არის.

— სეუ ჟოზეზე ყველა თქვენნაირად არ ფიქრობს...

— ცხადია, მაურინიუზე ყველა ერთნაირად ვერ იმსჯელებს. „ჩელსი“ დიდი გუნდია, ჟოზე დიდი მწვრთნელია და ხალხს კი ბუმბერაზების მიმართ განსხვავებული აზრი აქვს.

— „ჩელსის“ გადამეტებულ ყურადღებას რომან აბრამოვიჩის სიმდიდრის გამო ხომ არ აქცევენ?

— ფული მთავარი არ არის. „ბაიერნში“ ყველაფერი საათივით აწყობილი მქონდა, მაგრამ მაინც „ჰაერის გამოცვლა“ გადავწყვიტე. „სტემფორდ ბრიჯზე“ მაღალი ხელფასისთვის კი არა, სპორტული გამოწვევის გამო მივედი.

— ორი წლის წინ კინაღამ „ბარსაში“ გადახვედით, დღეს კი ამ გუნდის „მტერი“ ხართ...

— „ჩელსის“ შემოთავაზებას, „სტემფორდ ბრიჯზე“ არსებული განსაკუთრებული გარემოს, გუნდის ამბიციისა და ჟოზე მაურინიუს მწვრთნელობის გამო დავთანხმდი.

— ანუ მაღალი ანაზღაურება არაფერ შუაშია?

— გეუბნებით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის-მეთქი. „სტემფორდ ბრიჯზე“ ჯიბის გასასქელებლად არ მოვსულვარ.

— „ბარსელონასი“ არ გეშინიათ?

— „ბარსელონას“ ვაფასებ, შიშისა კი რა მოგახსენოთ...

— კატალონიელებთან დაპირისპირება ძალიან ადრე ხომ არ ხდება?

— არავითარ შემთხვევაში. „ბარსასთან“ ძალების მოსინჯვას სწორედაც ახლა ვარჩევდი. თუ ძლიერი ხარ, მეტოქე თავისი დიდების მწვერვალზე უნდა დაამარცხო.

— პესიმიზმში ვერავინ დაგაადანაშაულებთ...

— ლონდონში „ბარსას“ იოლი გასეირნება რომ არ ელის, კატალონიელებმა თავადაც კარგად იციან. რაიკარდის გუნდს „სტემფორდზე“ „ჩელსი“ ელოდება. —

— ამ გუნდებს შორის წინა დაპირისპირებებზე რას ფიქრობთ?

— მაშინ „ბაიერნის“ ფეხბურთელი ვიყავი და შარშანდელი თუ შარშანწინდელი თამაშებისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. ამიტომაც, თქვენი ნებართვით, ამ შეკითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ. „ბარსასადმი“ რევანშის სურვილით თუ ვარ განწყობილი? ალბათ, უფრო არა. მხოლოდ ჩემი საქმის იდეალურად გაკეთება მსურს.

— სამუელ ეტოოს არყოფნა კატალონიელებს ძალიან დაეტყობათ?

— რა გითხრათ, ეტოო განსაკუთრებული ფეხბურთელია. მარტო იმიტომ კი არა, გოლები რომ გააქვს, არამედ თავისი ხასიათით, ბრძოლისუნარიანობით და ასე შემდეგ... თუმცა ალბათ „ბარსა“ მის შემცვლელს მაინც გამოძებნის. სხვას ვერაფერს გეტყვით გარდა იმისა, რომ პირადად მე „ჩელსისთან“ დაკავშირებული მოვლენები ეტოოზე და „ბარსელონაზე“ მეტად მაინტერესებს.

— რონალდინიოზე რას ფიქრობთ?

— ფენომენია, მაგრამ ოთხშაბათს მისი თამაშის ყურებით სიამოვნების მიღების უფლება არ გვექნება. ლონდონში მეტოქეს „ჩელსის“ ამინდი უნდა დავახვედროთ.

— ამაში გულშემატკივრები დაგეხმარებიან. ამბობენ, რომ ოთხშაბათის მატჩზე ფანთა ზღაპრული მხარდაჭერა იქნება...

— გულშემატკივართა ქომაგობისა არ მეეჭვება. ტრიბუნაზე ხალხი თავის საქმეს გააკეთებს, მოედანზე ჩვენ — ჩვენსას და გამარჯვებაც ალბათ არ დააყოვნებს. ახლებური ტაქტიკა? სურპრიზის ფაქტორი? ეს კი უკვე მაურინიუს უნდა შეეკითხოთ...





ჯორჯო კიელინი

# ნიჭიერი კოდა

„**იუვენტუსის**“ მცველმა ჯორჯო კიელინიმ, რომელსაც „სკუადრა აძურაშიც“ აქვს ნათამაშები და ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიც გახლავთ, კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა.

„ასეთი ხანგრძლივი კონტრაქტი კლუბში სულ რამდენიმე ფეხბურთელს აქვს და მეამაყება, რომ ერთ-ერთი მათგანი ვარ. მინდა, თამაშით დავამტკიცო, რომ ამას ვიმსახურებ. ჩემპიონთა ლიგაში „იუვესთან“ ერთად თამაში მსურს. ეს ყველას გვინდა და აუცილებლად დავბრუნდებით“ — თქვა კიელინიმ.

ნიჭიერმა ფეხბურთელმა ევროპის 2007 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩში ესპანეთს ერთ-ერთი გოლი გაუტანა, თან ეფექტურად და „აძურინის“ გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა. ასევე იმედოვნებს, რომ „იუვეს“ საარბიტრაჟო სასამართლო მინუს ქულებს ჩამოაშორებს.

ჯორჯო კიელინი: „დარწმუნებული ვართ, სერია A-ს საგზურს ამ სეზონშივე მოვიპოვებთ. კარგად დავიწყეთ და მთავარია, ასევე გავაგრძელოთ. დიდი იმედით ველოდები საარბიტრაჟო სასამართლოს ვერდიქტს. „იუვენტუსი“ ისედაც ზედმეტად დასაჯეს და მინუს ქულები უნდა გაგვიუქმონ. თუმცა ასეც რომ არ მოხდეს, ჩვენი მიზანი და შემართება არ შეიცვლება. ბოლო დროს „ინტერის“ გარშემო ატეხილ სკანდალზე კი ვერაფერს გეტყვით. ისინი პატიოსნებით იქადნებოდნენ და ამბობდნენ, სკუდეტო დამსახურებულად გადმოგვცესო, მაგრამ ეს სწორად არ მიმაჩნია. ჩვენ თუ წაგვართვეს, არავისთვის არ უნდა გადაეცათ“.

ამასობაში, ტურინელთა მენეჯერი ალესიო სეკო ახალ ფეხბურთელებს ეძებს. „იუვენტუსს“ იანვარში გაძლიერება უნდა და მიზანში იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ორი ნიჭიერი მოთამაშე, „უდინეზეს“ 20 წლის მცველი ანდრეა კოდა და „პარმას“ 19 წლის ნახევარმცველი დანიელე დესენა ამოუღია.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ცხენისკუდას ფანი



**იტალიური** „ბრეშას“ მწვრთნელმა მარიო რომამ თქვა, რომ ცდილობს, ლეგენდარული რობერტო ბაჯო მინდორზე დააბრუნოს. მოგეხსენებათ, „ცხენისკუდამ“ კარიერა სწორედ „ბრეშაში“ დაასრულა 2004 წლის ზაფხულში.

„ჩვენ ვერ დავიმატებთ ლუკა ტონის, რომელიც „ბრეშაში“ ბაჯოსთან ერთად ბრწყინავდა ან ვინმე მისნაირს, ამის საშუალება არ გვაქვს. ამიტომ, რატომ არ უნდა ვიფიქროთ რობერტოს დაბრუნებაზე? ეს ბრწყინვალე იქნებოდა“ — აღნიშნა რომამ.

სერია B-ს ბინადარი „ბრეშას“ მწვრთნელმა ისიც თქვა, რომ მზადაა, ბაჯოს გულისთვის გარკვეულ დათმობებზე წავიდეს და ტაქტიკა შეცვალოს. თავად „ცხენისკუდას“ პოზიცია ჯერ უცნობია, თუმცა მისი დაბრუნება თითქმის გამორიცხულია. დაახლოებით ორი წელია, ბაჯოს ბურთისთვის ფეხი არ შეუხია და 18 თებერვალს 40 წლის გახდება.

„მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი და სამი თავდამსხმელით, როდესაც ორი გამოკვეთილი ფორვარდის უკან გამთამაშებელია, არ ვთამაშობ, თუმცა ბაჯოს შემთხვევაში გამონაკლისს დავუშვებ. რობერტოს დაბრუნება მართლაც საოცარი იქნება. ეს ფანებსაც აღაფრთოვანებს და გუნდსაც გააძლიერებს“ — დასძინა რომამ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ბრუნო იმზით ხელში

**როგორც** მოსალოდნელი იყო, „იუვენტუსის“, „მილანისა“, და „ლაციოს“ შემდეგ, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო სასამართლოში აპელაცია ფლორენციის „ფიორენტინამაც“ შეიტანა. „იები“ მინუ 19 ქულის ჩამოშორებას ითხოვენ და წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო სასამართლოში გასაჩივრებით იმუქრებიან.

მოგეხსენებათ, უეფა სპორტული საკითხების სამოქალაქო სასამართლოში განხილვას კრძალავს და თუ „ფიორენტინა“ მუქარას შეასრულებს, იტალიურ ფეხბურთს სერიოზული პრობლემები შეექმნება. თავის მხრივ, ფედერაცია ყველანაირად შეეცდება, „იებს“ ხელი შეუშალოს. საარბიტრაჟო სასამართლოს მალე, ალბათ, „რეჯინაც“ მიმართავს, რომელსაც ასევე მინუს ქულები აწუხებს. რეჯოკალაბრიელებს მინუს 15 ქულა აქვთ და თუ არ შეუმცირდათ ან მთლიანად არ მოშორდათ, სერია A-ში დარჩენას, ალბათ, ვერ შეძლებენ. აპელაციების განჩენს თვის ბოლოსთვის ელიან.

„ფიორენტინას“ არაფერი დაუშავებია და მინუს ქულები აუცილებლად უნდა მოგვაშორონ. საარბიტრაჟო სასამართლოსი მჯერა, მაგრამ თუ სასურველ ვერდიქტს არ მივიღებთ, მზად ვართ, სამოქალაქო სასამართლოსაც მივმართოთ. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ“ — განაცხადა ფლორენციელთა ადვოკატმა ალბერტო ბრუნიმ.

**კოკი კანდელაკი**

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სამპდორია | : | მილანი |
| სიენა | : | მესინა |
| **ხვალ** | | |
| ემპოლი | : | ფიორენტინა |
| ასკოლი | : | ლივორნო |
| ინტერი | : | კატანია |
| პალერმო | : | ატალანტა |
| ლაციო | : | კალიარი |
| პარმა | : | უდინეზე |
| რეჯინა | : | რომა |
| ტორინო | : | კიევო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 |
| პალერმო | 5 | 4 | 0 | 1 | 12:9 | 12 |
| ინტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:7 | 11 |
| მესინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| უდინეზე | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ემპოლი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| სიენა | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| ლივორნო | 5 | 2 | 2 | 1 | 4:4 | 8 |
| ატალანტა | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | 6 |
| სამპდორია | 5 | 1 | 3 | 1 | 9:9 | 6 |
| კატანია | 5 | 1 | 2 | 2 | 6:10 | 5 |
| მილანი | 5 | 3 | 2 | 0 | 5:1 | 3 |
| კალიარი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | 3 |
| ასკოლი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |
| ტორინო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:10 | 2 |
| კიევო | 5 | 0 | 1 | 4 | 5:9 | 1 |
| პარმა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |
| ლაციო | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | - 2 |
| რეჯინა | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -10 |
| ფიორენტინა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:5 | -13 |

*მილანს დაკლებული აქვს 8 ქულა, ლაციოს 11 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 19 ქულა*

## იტალია

# სამპდორია მილანურ კრიზისს მთამაშებზა



ანჩელოტი ჯილარდინოს აღარ ენდობა

**ტურის** ცენტრალური მატჩი შაბათს „სტადიო მარასიზეა“. მცირე კრიზისში მყოფი „მილანი“ „სამპდორიასთან“ შეეცდება, დაამტკიცოს, რომ სირთულეები გადალახა. გენუელებმა კი სერია A-ში 17-მატჩიანი მოუგებელი სერია ცოტა ხნის წინ „პარმასთან“ შეწყვიტეს და „როსონერის“ კარგ ხასიათზე ხვდებიან.

წინა სეზონში „სამპდორიამ“ შინ „მილანს“ 2:1 მოუგო და ახლაც იგივეს აპირებს. მასპინძელთა მთავარი იმედი ემილიანო ბონაცოლია. ფაბიო ბაცანიმ სერიოზული ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ სათამაშოდ მზად ჯერ არ არის. ფრანჩესკო ფლაკის კი ორთვიანი დისკვალიფიკაცია აქვსალბათ მინდორზე ვერ გავლენ კრისტიან მაჯიო და მისი სეხნია ტერლიცცი.

კარლო ანჩელოტის კი პაოლო მალდინი, იონ გურკუფი და სერჟინიო არ ეყოლება. მათ მსუბუქად ვარჯიში დაიწყეს, მაგრამ ბოლომდე მზად ჯერ არ არიან. ცუდ ფორმაში მყოფი ალბერტო ჯილარდინო ალბათ ისევ სათადარიგოთა სკამზე იქნება, ხოლო გუნუელებს ფილიპო ინძაგი და რიკარდო ოლივეირა შეუტევენ.

„რომა“ „რეჯინას“ სტუმრობს. დედაქალაქელებს როდრიგო ტადეი, კრისტიან კივუ და ფილიპ მექსეში უბრუნდებიან. სიმონე პეროტამ კი შესაძლოა, ვერ ითამაშოს.

„რა თქმა უნდა, გამარჯვებისთვის ვითამაშებთ. ჩვენ ახალგაზრდა, კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ არ ვიცი ჯერ გვაქვს თუ არა ის საჭირო თვისებები, რაც ტიტულების მოსაგებად აუცილებელია“ — თქვა „რომას“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

სეზონის ბრწყინვალედ დამწყები „პალერმო“ „ატალანტას“ მასპინძლობს და უდავო ფავორიტადაც ითვლება. ცუდად არც ბერგამოელებს დაუწყიათ, მაგრამ სიცილიაში თამაში გრანდებსაც უჭირთ.

„უკეთეს დებიუტს ვერავინ მოგვთხოვდა, მაგრამ ჩემპიონობა ჩვენი მიზანი ნამდვილად არ არის, ეს ძალიან ძნელი იქნება. მთავარია, ოთხეულში მოვხვდეთ და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ. პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინიც სწორედ ამას გვთხოვს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ შანსი მოგვეცა, სკუდეტოსთვის არ ვიბრძოლებთ. თან ფავორიტად ყველა „ინტერს“ მიიჩნევს და ეს ხელს გვაძლევს“ — თქვა „პალერმოს“ 25 წლის მცველმა ანდრეა ბარძალიმ.

„ინტერი“ „კატანიას“ დაუხვდება და ეცდება, წარუმატებელი სერიის მერე ჯავრი სიცილიელებზე იყაროს. თუმცა „ნერაძურის“ ალბათ, სამი წამყვანი მოთამაშე დააკლდება — ესტებან კამბიასო, ერნან კრესპო და ფაბიო გროსო. მათ ტრავმები აწუხებთ და მზად არ არიან.

**გიორგი ქაქაბაძე**

# თეთრი პიტბული



**„ბარსელონა“** ამსტერდამის „აიაქსის“ უესლი სნეიდერის შეძენით დაინტერესდა. კატალონიური გრანდის სელექციონერებმა ამ ნახევარმცველის სიძლიერის შესახებ ყველაფერი იციან და უკვე რამდენიმე წელია, ჰოლანდიაში მის ბურთაობას აკვირდებიან. 1984 წლის 9 ივნისს დაბადებული ფეხბურთელი „აიაქსის“ და ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

უესლი სნეიდერს მეტსახელად „პიტბულს“ ეძახიან. თეთრკანიანი ვარსკლავი მთავარ „პიტბულს“ ედგარ დავისს, გარეგნობით არ ჰგავს, თუმცა მოედანზე ზუსტა მის დარად იქცევა — ბოლომდე იბრძვის და ბურთსაც ძნელად თუ ვინმე აართმევს. „აიაქსში“ ფასდაუდებელ სამუშაოს ასრულებს, რაშიც შეიძლება, ჰოლანდიური „აიაქსის“ მატჩების ცქერისას დარწმუნდეთ. ეს ფეხბურთელი მუდამ გაბრაზებულივით გამოიყურება, უხილავ მტერზე გააფთრებული ჯავრს მეტოქეზე იყრის... „აიაქსის“ ნახევარმცველი ფიზიკურად ძალიან ძლიერია და ტექნიკაც შესანიშნავი აქვს.

„ბარსას“ გარდა სნეიდერის ხელში ჩაგდებას სხვა დიდსაფეხბურთო გრანდებიც ცდილობენ, „მილანი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, მადრიდის „რეალი“, „ლივერპული“ — რომელი ერთი ჩამოთვლით...

კატალონიელებს კი იოჰან კრუიფის იმედი აქვთ. „მფრინავი ჰოლანდიელი“, მოგეხსენებათ, როგორც „აიაქსისთვის“, ისე „ბარსელონასთვის“ შინაური კაცია და სნეიდერის ტრანსფერში თავისი წვლილი შეტანა შეუძლია.

„ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, უესლი, კრუიფისა და სხვა პატივცემულ ბატონთა შემწეობით „კამპ ნოუს“ მომავალ სეზონში მიაკითხავს.

მან „აიაქსში“ თამაში 2002-03-ის სეზონში დაიწყო. პირველი გოლი „ბრედას“ 2003 წლის 13 აპრილს გაუტანა. ჰოლანდიის ნაკრებში დებიუტი კი 2004 წლის აპრილში, პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან ჰქონდა.

**ლადო ხომერიკი**

# ბარსას ოსკარი დაუფასეს



**არგენტინული** „ინდეპენდიენტეს“ ვიცე-პრეზიდენტის თქმით, მათ მეკარე ოსკარ უსტარს „ბარსელონამ“ დაადგა თვალი. გოლკიპერი არგენტინის ნაკრებს მუნდიალზე ახლდა, თუმც ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია, 2005-ში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე კი ოქრო მოიგო.

„ბარსას“ სპორტული დირექტორი ბიგირისტაინი ვიცე-პრეზიდენტ ატილიო დი პასეს შეხვდა და მეკარის ტრანსფერზე ესაუბრა. „ყველას თავისი ფასი აქვს — განაცხადა დი პასემ — მაგალითად, სერხიო აგეროს სანაცვლოდ მადრიდის „ატლეტიკომ“ 17 მილიონი ევრო გადაგვიხადა. მე შევხვდი ჩიკი ბიგირისტაინს და ვუთხარი, რომ ოსკარ უსტარი 7 მილიონი ევრო ღირს. თუ ამ თანხას ერთბაშად მოგვართმევენ, მაშინ ტრანსფერი შედგება, მაგრამ ახლა „ბარსელონას“ მეკარე სასწრაფოდ არ სჭირდება. ალბათ, უსტარს 2007 წლის ივნისამდე დავიტოვებთ“.

**ირაკლი ნინიძე**

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატლეტიკო | : | უელვა |
| ხეტაფე | : | რეალი |
| **ხვალ** | | |
| ბარსელონა | : | სევილია |
| ხიმნასტიკი | : | ბილბაო |
| სელტა | : | ვალენსია |
| ოსასუნა | : | რასინგი |
| ვილიარეალი | : | ესპანიოლი |
| ლევანტე | : | მალიორკა |
| სოსიედადი | : | სარაგოსა |
| ბეტისი | : | დეპორტივო |

# ესპანეთი
## ტურ დე ფორსე ხვალ იწყება

**კატალონიის** დედაქალაქში „ტურ დე ფორსეს“ დაწყებას დიდი მღელვარებით ელოდებიან. „ბარსელონას“ დროის მცირე მონაკვეთში 3 უძნელეს მეტოქესთან შერკინება მოუწევს. ხვალ ფრანკ რაიკარდის გუნდი შინაურ „კამპ ნოუზე“ პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ ლიდერს, „სევილიას“ უმასპინძლებს, ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაზე ლონდონში „ჩელსისთან“ ჯახი ექნება, ხოლო პრიმერას შემდეგ ტურში „რეალი“ — „ბარსელონაა“, ესპანელთა უკვდავი „ელ კლასიკო“. ამიტომაც ბარსელონაში მომავალ სამ შერკინებას „ძნელი ტური“ (**TOUR DE FORCE**) დაარქვეს.

პირველ ომს რაიკარდის ბიჭები სევილიელებთან გადაიხდიან. „სევილიამ“ აგვისტოში „ბარსას“ ძლიერ აწყენინა. მაშინ ხუანდე რამოსის კლუბმა ევროპის სუპერთასზე კატალონიური გრანდი 3:0 დაამარცხა. „ამ ორი მატჩის შედარება არ შეიძლება. ის სუპერთასის ფინალი გახლდათ, ეს კი მხოლოდ საპრიმერო შეხვედრაა. თუმცა ამით ბარსელონელებთან თამაშს მნიშვნელობა არ აკლდება“ — განაცხადა ჟურნალისტებთან „სევილიას“ მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა. სტუმრებს ფრედი კანუტის ნატკენი კოჭი აფიქრებთ, თუმცა ექიმები ამბობენ, რომ მალელი ფორვარდი კვირას მაინც ითამაშებს.



მაქსი როდრიგესი „ატლეტიკოს“ დიდი ხნით გამოაკლდა

„სევილიამ“ საამსეზონო პრიმერაში ხუთი მატჩიდან ოთხში გაიმარჯვა. ანდალუსიურ ინჩადას სჯერა, რომ რამოსის შეგირდები წლეულს კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდ მიღწევას, ესპანეთის ჩემპიონობას გაიმეორებენ. „სევილია“ ჩემპიონი 1946 წელს გახდა.

„ბარსელონას“ ნაოპერაციები სამუელ ეტოო არ ეყოლება. ასევე კარლეს პუიოლის უქმად ყოფნასაც ვარაუდობდნენ (კატალონიური გრანდის და ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა არგენტინასთან ტრავმა მიიღო). თუმც „ბარსას“ საექიმო შტაბის განცხადებით, პუიოლი თამაშის მოახერხებს. „კამპ ნოუზე“ რევანშისტული განწყობაა, ფეხბურთელები „სევილიასთან“ ძველი ანგარიშების გასასწორებლად ემზადებიან.

დღეს მადრიდული გუნდები — „რეალი“ და „ხეტაფე“ — „ესტადიო პერესზე“ დერბის გამართავენ. სავარაუდოდ, „ხეტაფეს“ ტრავმირებულები — პაუნოვიჩი და ალბინი — გამოაკლდებიან. „რეალს“ კი რონალდო გამოუჯანმრთელდა და შაბათის მატჩში ალბათ ძირითადში იქნება.

მადრიდის „ატლეტიკო“ „უელვას“ უმასპინძლებს. ადგილობრივებს ტრავმირებული მაქსი როდრიგესი გამოაკლდებათ. მაქსიმ ესპანეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში მუხლი მწარედ იტკინა და 2007 წლამდე თამაშს ვერ შეძლებს.

„ვალენსია“ „სელტას“ სტუმრობს. „ლამურები“ ჯერჯერობით პრიმერაში მშვენივრად ბურთაობენ და იმედი აქვთ, რომ მათი წაუგებელი სერია შემდგომშიც გაგრძელდება. „ვფიქრობ,რაფა ბენიტესის დროინდელი დიდება უნდა დავიბრუნოთ“ — განაცხადა „ვალენსიას“ მცველმა დავიდ ნავარომ.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 1:1 | | | | | | | | | 3:0 | | | | | | | | | | 5 | 4 | 1 | 0 | 13:4 | 13 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| 2 | ვალენსია | | | | | | | | | 2:0 | | | | | | | 4:0 | 2:1 | | | | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 3 | სევილია | | | | | | | | | 1:0 | | | 4:0 | | | | | 3:2 | | | | 5 | 4 | 0 | 1 | 12:5 | 12 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| 4 | რეალი | | | | | 1:1 | | | | | 0:0 | | | | | | | | | | 2:0 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:2 | 11 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| 5 | ატლეტიკო | | 0:1 | 2:1 | | | | | | | | | | | | | | | | | | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 6 | უელვა | | | | | | | | | | | | 0:1 | 1:1 | | | | 2:0 | | | | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| 7 | დეპორტივო | | | | | | | | 3:2 | | 2:0 | | | | | | | | | | 2:0 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| 8 | სარაგოსა | | | | | | | | | | | | 2:2 | 2:0 | | 3:0 | | | | | | 5 | 2 | 1 | 2 | 11:8 | 7 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 | 0 | 0 | 2 | 4:6 | 0 |
| 9 | ხეტაფე | | | | | | | | | | | | | | | | | | 1:0 | 0:0 | | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 10 | ვილიარეალი | | | | | | 0:1 | | 3:2 | | | | | | | | | | | | | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 11 | ოსასუნა | | | | | | | | | 0:2 | | | | | | | 2:0 | | | | | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 12 | ლევანტე | | | | 1:4 | | | 2:0 | | | | | | | | | | | | | | 5 | 2 | 1 | 2 | 6:10 | 7 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| 13 | მალიორკა | | | | | | | 0:0 | | | 1:2 | | | | | 1:0 | | | | | | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 14 | სელტა | 2:3 | | | | | | | | | | 0:2 | | | | | | | | | | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 15 | ესპანიოლი | | | | | | | | | | | 0:0 | | | 2:1 | | 0:1 | | | | | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| 16 | ხიმნასტიკი | | | | | | | | | | | | | | 1:2 | | | | 2:2 | | | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 | 1 | 0 | 2 | 1:6 | 3 |
| 17 | ბეტისი | | | | 0:1 | | | | | | | | | | | | | | | 3:0 | | 5 | 1 | 0 | 4 | 6:8 | 3 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |
| 18 | რასინგი | 0:3 | | | | 0:1 | | | | | | | | | 1:1 | | | | | | | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 19 | ბილბაო | 1:3 | | | | 1:4 | | | | | | | | | | | | | | | 1:1 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:11 | 2 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| 20 | სოსიედადი | | | 1:3 | | | 2:3 | | | | | | | | | | | | | | | 5 | 0 | 1 | 4 | 4:11 | 1 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

# გინება ავტობუსთან



**ზაგრების** „მაქსიმირის“ სტადიონზე 0:2-ის წაგების შემდეგ ინგლისის ნაკრებს ავტობუსთან ფანობა დაუხვდა და ხმაშეწყობილი ძახილით დაამცირა: „არა ხარ მაგ სამოსის ღირსი“. ოღონდაც ერთი ფანი განსაკუთრებით გულნატკენი ყოფილა და, ცხადია, უეინ რუნის ტაკებია უშვერი სიტყვებით.

რუნი გაქაჩვია კიდევაც და საპასუხო ტკბილხმოვანებაც არ დაუკლია.

მოკლედ, სკანდალი გორდება და მანჩესტერელის სფოუქსმენმა საგანგებო განცხადებაც გაავრცელა, დიდ პატივსა სცემს უეინი ინგლისელ ფანობას, ესმის მისი გულისწყრომა და სწუხსო.

